

სამშენებლო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების
პრობლემები საქართველოში

თამთა ფერიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის
ფარგლებში
საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილია წიკლაური, სამართლის დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020 წელი

განაცხადი,

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა ფერიაშვილი

31.01.2020

აბსტრაქტი

სამშენებლო სფერო და მისი მოწესრიგების ფარგლები ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საქართველოში. ამ თემის ირგვლივ არაერთი ღიად დატოვებული/პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს და პრაქტიკიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რიგ საკითხებში საკანონმდებლო სივრცე არის მოუწესრიგებელი.

ამ დარგში არსებული სხვადასხვა თეორიული მოსაზრებებთან ერთად, აქცენტი გაკეთდება არსებულ საკანონმდებლო აქტებზე, პრაქტიკულ ხედვებზე. აღნიშნული სფერო კომპლექსურად არის დაკავშირებული უსაფრთხო გარემოსთან, ურბანულ განვითარებასთან, სამშენებლო სუბიექტებთან, მოქალაქეთა უფლებების და თავსუფლებების დაცვასთან, ბიზნეს გარემოს განვითარებასთან და შედეგად ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობასთან.

სამშენებლო სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა წარმოადგენს ასევე მნიშვნელოვან კვლევის საგანს. ნაშრომში განხილული თემა ასახავს რეალურად არსებულ პრობლემებს და საფრთხეებს რომელიც დაკავშირებულია მშენებლობასთან. საფრთხეები დაკავშირებულია უსაფრთხო მშენებლობის სტანდარტების დანერგვასთან, სამშენებლო მონიტორინგთან, საკანონმდებლო ნორმათა ჰარმონიზაციასთან, საერთაშორისო სტანდარტების მორგება შიდა ეროვნულ კანონმდებლობასთან და ა.შ.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში, გაანალიზებული იქნება რეალურად არსებული პრობლემები. რამდენად მოდის შესაბამისობაში მოქმედი საკანონმდებლო ნორმები არსებულ პრაქტიკასთან სამშენებლო სფეროში. არის თუ არა ხელოვნური ბარიერები და რა არის გამოსავალი. პრობლემის გადაჭრის გზები, ამ სფეროში ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. რეკომენდაციები და სხვა ქვეყნის პრაქტიკა ამ კუთხით ვფიქრობ საყურადღებოა.